A
9653

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მეტი გიორგის ასული ბადრიაშვილი

# ჯალათისა და მსხვერპლის მეტაფორა XX საუკუნის ქართულ პროზაში

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

კონსულტანტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი შ. ჩიჩუა

ექსპერტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ლომიძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. მიშველაძე
2. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. სიგუა
3. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ხელაია

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის "9" დეკემბერს 12^{00}
საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს / P 10. 01. C N3/ სხდომაზე.

მისამართი: 380008. ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N5

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაეგზავნილია 1998 წლის 4 ნოემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი: [signature] ა. არაბული



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** მეტაფორა მხატვრული აზროვნების ფორმაა, მხატვრულ სახეთა სისტემის უძირითადესი კატეგორია. ჯალათისა და მსხვერპლის მეტაფორა ერთი კონკრეტული სახეა, რომელიც ფრიად ტევადი აღმოჩნდა, როგორც საკუთრივ მხატვრული პრობლემების, ისე საზოგადოებრივი ისტორიის არსის გახსნისთვის.

მხატვრული ნაწარმოების ჯალათისა და მსხვერპლის მეტაფორის თვალსაზრისით განხილვა აფართოებს თხზულების აღქმის, გაგებისა და გააზრების ასპექტებს და ახალი კუთხით აშუქებს მის სტილურ სისტემას, ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის მხატვრული სახის მეტაფორულ ბუნებას. ამავე დროს იგი აფართოებს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ, კულტუროლოგიურ თვითშეგნებას. ამ პრობლემაში ჩაღრმავება ადამიანს ეხმარება შეიმეცნოს თავისი როლი და ფუნქცია სოციალურ ურთიერთობებში, თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდის ეს მეტაფორა რეალობიდან მეორად სინამდვილეში ანუ მხატვრულ შემოქმედებაში გადასვლისას, ნათლად გვიჩვენეს კვლევის შედეგებმა. თემის აქტუალობის განსაზღვრისას აუცილებელია საკითხის ფილოსოფიური და მხატვრული ასპექტების გათვალისწინება. საკითხის ფილოსოფიური მხარე უკავშირდება საკუთრივ მეტაფორის არსის წვდომის პროცესს, რადგან ის ემორჩილება მოქმედ რეალობას და მიმართულია აზრის გამოსახვისკენ სიღრმისეული სტრუქტურიდან ხან გარეთ, ხან შინაგანი არსისკენ. ასეთ მიმართებებში ცნობიერება ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს მეტაფორის ფენომენს, როგორც მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, მისი იდეურ-ემოციური რაობის ობიექტურ არსს და ინტერპრეტაციის საფუძველს. მეტაფორა, როგორც "საგანთა ნორის მსგავსების დანახვის ხატი" - /არისტოტელე/ - ისეთი მიკროსისტემაა, სადაც კონკრეტული მოდელისა და კონტექსტის ურთიერთმიმართება "საგნის ცოცხალსა და მკაფიო გამოსახვის" უტყუარ საშუალე-